

შენიშვნა

ბიუჯეტის შემოსულის განმარტება: ანგარიშები

ფინანსური ანგარიშები

ფინანსური შედეგების ანგარიშები

შედეგის ანგარიშები

საკუთარი ქონების ანგარიშები

ფულადი საშუალებების ანგარიშები

ფინანსური ანგარიშების კოდი-გამარტება ს.ნ. 40504119

1. ზოგადი ინფორმაცია

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

2. მომსახურების საფუძველი

2.1. მომსახურების საფუძველი: ბიუჯეტის მიზნის დანახვა

2.1.1 ფული და ფულის ექვივალენტები

2.1.2 საფუძველი მომსახურების

2.1.3 მომსახურების

2.1.4 მომსახურების საშუალებები

2.1.5 საფუძველი ვალდებულებები

2.1.6 საფუძველი ვალდებულებები

2.1.7 შენაღდის აღრიცხვა

2.1.8 საფუძველის აღრიცხვა

2.1.9 მომსახურების აღრიცხვა

4. ბიუჯეტის შედეგების თარიღის შემდგომი შედეგები

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე	3
ფინანსური ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3.1 ფული და ფულის ექვივალენტები	8
3.2 სავაჭრო მოთხოვნები	9
3.3 მარაგები	9
3.4 ძირითადი საშუალებები	9
3.5 სავაჭრო ვალდებულებები	9
3.6 საგადასახადო ვალდებულებები	9
3.7 შემოსავლის აღიარება	10
3.8 ხარჯების აღიარება	10
3.9 შრომის ანაზღაურება	10
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	10

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ავტოტესტ გეორგია“ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;

გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად;

ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი:

დავით მესხიშვილი

ბუღალტერი:

ილია ხაზალია



ფინანსური მდგომარეობა:

პერიოდი	31.12.2022 წ.	31.12.2023 წ.
აქტივები	ლარი	ლარი
მიმდინარე აქტივები		
1100 ფული სალაროში	1019.71	45.29
1200 ფული საბანკო ანგარიშებზე	5036.60	41081.72
1290 მისაღები ფული (ტერმინალი ფეიბოქსი)	8146.28	5807.18
1410 სავაჭრო მოთხოვნები	32577.13	10915.31
1490 სხვა მოთხოვნები (სესხის ძირი)	145788.60	147888.60
1480 მომწოდებლებზე წინასწარ გადახდა	20530.22	62273.40
1500, 1800 სხვა მოთხოვნები, დარიცხული მოთხოვნები	64368.48	93542.29
სულ მიმდინარე აქტივები	277467.02	361553.79
სასაქონლო მატერიალური მარაგი		
1610 საქონელი	3119.13	3119.13
1620 ნედლეული და მასალები	457.61	688.20
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3576.74	3807.33
გრძელვადიანი აქტივები		
2110 მიწის ნაკვეთი (3281კვ.მ.)	1779600.00	1779600.00
2130 შენობები	259525.85	234177.19
2150 მანქანა დანადგარები	126724.62	23687.91
2160 ოფისის აღჭურვილობა	9183.66	2496.46
2161 კომპიუტერული ტექნიკა	4074.09	538.90
2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი	4251.20	2759.97
2180 სატრანსპორტო საშუალებები	2220.00	17780.00
2190 სხვა აქტივები	50626.72	27511.32
სულ გრძელვადიანი აქტივები	2236206.14	2088551.75
სულ აქტივები	2517249.90	2453912.87
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
3110 მოწოდ. და მომს წარმოქმნილი ვალდებულებები	38723.96	20781.97
3120 მიღებული ავანსები	108.00	140.00
3130 გადასახდელი ხელფასები	0.00	247.70
3170 ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	1162.60	0.00
3210 სესხი	0.00	0.00
3300 საგადასახადო ვალდებულებები	47155.49	38082.15
3410 დარიცხული ვალდებულებები	20204.62	0.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	141925.33	59251.82
გრძელვადიანი ვალდებულებები		
4140 გრძელვადიანი სესხები	717282.72	827785.75
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	717282.72	827785.75
საკუთარი კაპიტალი		
5100 საწესდებო კაპიტალი	1653759.50	1653759.50
5310 გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)	59057.63	(86884.20)
სულ საკუთარი კაპიტალი	1712817.13	1566875.30
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2517249.90	2453912.87

დირექტორი:

ბუღალტერი:

[Handwritten signatures]



დავით მესხიშვილი

ილია ხაზალია

საქმიანობის შედეგები:

პერიოდი		2022 წ.	2023 წ.
ანგარიში	მუხლი	შემოსავალი	შემოსავალი
6000	საოპერაციო შემოსავალი	2101343.72	2094607.91
8100	არასაოპერაციო შემოსავალი	217671.45	53655.16
	საბოლოო მარაგი	3576.74	3807.33
სულ შემოსავალი		2322591.91	2152070.40
		ხარჯი	ხარჯი
	საწყისი მარაგი	3539.57	3576.74
	შემენა	7726.28	6437.00
7410, 7411, 7435(1)	ხელფასი, ერთჯ ხელშეკ, პერსონალის დაზღვ	791597.39	774009.58
7420	იჯარა	221540.83	250495.87
7422, 7450, 7490(16)	აკრედიტაც, პროგრამა, მომს სააგ, საკონს	147041.35	207213.70
7424, 7425, 7426, 7432	მცირეფას, საოფისე, საოფისე ინვენტ და მისი რემ	7819.92	7054.61
7427, 7429	საკანცელარიო, საკანონმდ. მაცნე	4119.52	3321.37
7430(1-3), 7490(3,8,17)	კომუნიკაციის, კომუნალ წყალი, აპარატის წყალი	9871.27	12267.10
7490(9,10)	ინტერნეტი (დომენი, ჰოსტინგი)	665.11	665.94
7431	ელ. ენერგიის	10798.52	9809.11
7433, 7490(5, 18)	რეკლამა, FACEBOOK, პერსონალის სპეც. ტანსაც	60614.83	40910.79
7435(2-4)	დაზღვევა(ქონების, ავტომ, პასუხიმგებლ)	3489.41	3075.35
7436	ავტომობილთან დაკავშირებული	3895.01	3490.41
7438	ტენდერის	50.00	90.78
7440	მიმდინარე რემონტის	15439.27	24487.71
7445, 7449	კომპიუტერის	1827.80	2935.68
7447	საბანკო	15708.08	18988.38
7439, 7451, 7470	წარმომადგენლობითი, მივლინ, ინტელექტ საკუთ	0.00	0.00
7455	ცვეთა ამორტიზაცია	88317.06	177188.75
7465, 7490(13)	გადასახადების (ქონება, საპენსიო)	18927.22	17744.63
7490(1, 19)	დასუფთავების	232.06	0.00
7448, 7490(2)	სამეურნეო, საკონტროლო-სალარო აპარატის	0.00	0.00
7490, 7499	სხვა ხარჯები	40324.03	41895.62
	სულ საოპერაციო ხარჯი	1453544.53	1605657.12
8210	საპროცენტო	46160.03	49549.19
8220(1)	კურსთაშორის სხვაობის	313471.08	9260.78
8220(2)	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ზარალის	0.00	0.00
	სულ არასაოპერაციო ხარჯი	359631.11	58809.97
სულ ხარჯი		1813175.64	1664467.09
მოგების გადასახადის ხარჯამდე მოგება/ზარალი		509416.27	487603.31
მოგების გადასახადის ხარჯი		78438.46	97018.84
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		430977.81	390584.47

დირექტორი:

ბუღალტერი:

[Handwritten signature]



დავით მესხიშვილი

ილია ხაზალია

კაპიტალის მოძრაობა:

	2022 წელი	2023 წელი
კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1709207	1712818
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	0	0
ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	3611	(145943)
კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1712818	1566875

დირექტორი:

დავით მესხიშვილი

ბუღალტერი:

ილია ხაზალია



ფულადი სახსრების მოძრაობა:

ფულის ნაშთი - 01.01.2023	6056.31	
რეალიზაცია		
მომსახურებიდან შემოსული თანხა (ბანკი - დებიტორი)	522745.45	
მომსახურებიდან შემოსული თანხა (ბანკი - თიბისი ფეი)	596129.50	
მომსახურებიდან შემოსული თანხა (ბანკი - ტერმინალი)	1356607.71	
სულ რეალიზაციიდან მიღებული თანხა	2475482.66	
საოპერაციო ხარჯი		
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხა		26590.89
ხელფასი		603754.10
გადასახადები (საშემოსავლო, დღგ, მოგება, ქონება)		594053.00
იჯარა		318488.18
კომუნალურები		14947.80
ტრანსპორტი (საწვავი და სხვა)		12400.53
საოფისე ხარჯები, სპეც ტანსაცმელი		32291.06
მივლინება, წარმომადგენლობითი ხარჯები		0.00
დაზღვევა		3075.15
პროგრამა, აკრედიტაცია, მომსახ. სააგენტო. ასოც საწევრო		200621.90
მარკეტინგი, რეკლამა, ვებ. გვერდი		47894.07
დაცვა		1632.00
რემონტი, სათვალთვალო კამერები		20705.48
ტრენინგი, სხვა ხარჯი		56167.83
ბანკის საკომისიო		1504.32
სულ საოპერაციო ხარჯი		1934126.31
საინვესტიციო გასავალი		
შენობის, მიწის შესყიდვა		0.00
დანადგარების შესყიდვა		46210.77
ინვენტარის შესყიდვა		1928.75
სხვა საინვესტიციო გასავლები		801.06
სულ საინვესტიციო გასავლები		48940.58
შემოსავალი ფინანსური აქტივობიდან		
სესხი თიბისიბანკიდან	275643.20	
საბანკო ანაბარი	284.78	
სადაზღვევო პრემია	0.00	
სესხის ძირი	0.00	
შემოსავალი (კურსის ცვლილება)	2465.17	
სულ ფინანსური აქტივობიდან მიღებული თანხა	278393.15	
გასავალი ფინანსური აქტივობიდან		
სესხის ძირი		165140.16
სესხის პროცენტი		49549.19
სესხის გაცემა		2100.00
გასავალი (კურსის ცვლილება)		9248.87
დივიდენდის გაცემა		509700.00
სულ ფინანსური აქტივობიდან გასული თანხა		735738.22
ფულის ნაშთი - 31.12.2023	35070.70	

დირექტორი

ბუღალტერი

[Handwritten signature]



დავით მესხიშვილი
ილია ხაზალია

ფინანსური მდგომარეობის ახსნა განმარტებითი შენიშვნები საწარმოს შესახებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „აუტოტესტ გეორგია“ (ს.ნ. 405041119) რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად 2014 წლის 30 აპრილს;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 27 მარტიდან;

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რ-ნი სოფ. დილომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 128;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405041119;

დამფუძნებლები (50%-50%-იანი წილებით) არიან დავით ჩიქოვანი (პ.ნ. 01008001159) და რევაზ კლდიაშვილი (პ.ნ. 01008006158);

წარმომადგენელი ხელმძღვანელობაზე (დირექტორი) არის დავით მესხიშვილი (პ.ნ. 01011017250);

შპს „აუტოტესტ გეორგიას“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

დაფუძნების თარიღის მიუხედავად სამეურნეო ოპერაციების განხორციელება კომპანიამ დაიწყო 2017 წლის მარტიდან, და ამ მომენტიდან იყენებს „მსს ფასს“ სტანდარტს.

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ვალდებულების წარმოქმნის და ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანიის საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთები, შესაბამის ანგარიშებზე ასახულია საანგარიშო წლის ბოლოსთვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებში.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის (მომსახურების რეალიზაცია) შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

3.3. მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო-საბაჟო გადასახადებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ბუღალტრულად აღიარდება ხარჯად.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების გამოწენების ვადები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ჯგუფი	ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-6 წელი
ავტომობილები	5-6 წელი
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკა	5-6 წელი
ავეჯი	5-6 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	7-8 წელი

მომხმარებლისთვის განკუთვნილი სამეურნეო საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში - საკანცელარიო ხარჯად. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე კლასიფიცირდება საოფისე, მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯებად, ასევე კომპიუტერული ტექნიკის, ავტომობილის, მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს.

3.5. სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც დარიცხის მეთოდით წარმოიქმნება საქონლის მოწოდების ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.6. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2023 წლისთვის შედეგა დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებისგან (დღგ - გადახდის ვადა არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ესტონური მოგება

- გადახდის ვადა არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, გადასახდელი ხელფასების შესაბამისი დარიცხული საშემოსავლო - გადახდის ვადა არაუგვიანეს ხელფასის გაცემის თარიღისა, ქონების გადასახადი - უარყოფითი სხვაობა 2023 წლის კუთვნილქონების გადასახადსა და 2023 წლის ივლისში საავანსოდ დარიცხულ ქონების გადასახადს შორის)

3.7. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როცა კომპანია მყიდველს გაუწევს მომსახურებას და შესაბამისად მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს სარგებელს. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები საზღაურის რეალური ღირებულებით.

3.8. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

3.9. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით, შრომის კანონმდებლობის და კომპანიის მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ანგარიშგებაზე, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:



დავით მესხიშვილი

ბუღალტერი:



ილია ხაზალია